წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N17

ქ.წალენჯიხა

28 სექტემბერი 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ივერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ბაჩუკ უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, კახაბერ ციმინტია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 13:20 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე (მომხრე 19 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა

შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N47).

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი"-ის დაშლილად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი და მრეწველები"-ის შექმნის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მ/შ-ის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია, მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

6. ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებლად: ასმათ კვარაცხელია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7.სხვადასხვა.

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“-ის დაშლილად გამოცხადების თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ საკრებულოს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი“-იდან გავიდა ერთი წევრი, ფრაქციაში დარჩა სამ წევრზე ნაკლები, გათვალისწინებით ამისა ფრაქცია გაუქმებულია.

აღნიშნული ინფორმაცია საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

მოისმინეს: 2 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი და მრეწველები“-ის შექმნის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი და მრეწველები“-ის რეგისტრაციის და მის თავმჯდომარედ ვახტანგ ქუჩულორიას არჩევის თაობაზე, ამასთან გააცნო კომისიის დასკვანა აღნიშნული ფრაქციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით და ფრაქციის რეგისტრაციისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაცია: ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციაში გაერთიანებულ საკრებულოს წევრთა წერილობითი განცხადება და ფრაქციის წესდება.

საკრებულოს მიერ, აღნიშნული ინფორმაცია მიღებულიქნა ცნობად.

მოისმინეს 3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N29) .

მოისმინეს 4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N30) .

.

მოისმინეს: 5 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნულმა პირმა, მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის უფროსმა(მ/შ) თემურ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი ერთი (კ.ციმინტია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N48).

მოისმინეს: 6. ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ასმათ კვარაცხელიამ.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებმა ივერ კვარაცხელიამ და კახაბერ ციმინტიამ რომლებმაც მოითხოვეს განმცხადებლებზე (ვალერიანე ზარქუა და რობერტ მესხია) ერთჯერადი ფულადი დახმარების თანხის 600-დან 1000 ლარამდე გაზრდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ასმათ კვარაცხელიამ მისცა განმარტება, რომ წარმოდგენილი საკითხი განხილულიქნა საკრებულოს კომისიების სხდომებზე მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად და აღნიშნულ მუხლში არსებული ხარჯების გათვალისწინებითა და განმცხადებლების სოციალური პირობების სიმძიმიდან გამომდინარე განისაზღვრა თითოეულზე გასაცემი თანხის ოდენობა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N49).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თ. ღვინჯილია

საქართველო

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 სექტემბერი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N47

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 28 სექტემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი"-ის დაშლილად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი და ძოეწველები"-ის შექმნის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პიდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მ/შ-ის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თემურ მებონია,

მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის უფროსი (მ/შ).

ვ) ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ასმათ კვარაცხელია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ზ) სხვადასხვა.

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30

2016 წლის 28 სექტემბერი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის **№14** დადგენილებაში (www.matcne.gov.ge, 30/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.104.016160) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მესამე მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ე) „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად გეოგრაფიული ობიექტების სახელდება;“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

8

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29

2016 წლის 28 სექტემბერი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №5 დადგენილება.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: - **თემურ ღვინჯილია**

საქართველო

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 სექტემბერი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N48

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში გაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 122–ე მუხლის მე–4 პუნქტის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე და 36–ე მუხლების შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში, ლევან ზარქუას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქ. წალენჯიხა სალიას ქუჩაზე მდებარე ყოფილი მერიის შენობის მეორე სართულზე არსებული 32,7 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (მიწის, უძრავი ქონების (ს/კ N47.11.43.037.01/003) 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 500 ლარით.

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ.ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქუჩა N12).

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საქართველო

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

28 სექტემბერი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N49

ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 29016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულების შესაბამისად,

1.მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გასცეს ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით გათვალისწინებული ხარჯებიდან, გარკვეული ოდენობის თანხა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შემდეგმოქალაქეებს:

ა) ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ **რეზო ჩხაპელიას** (პ.ნ 62005016849) თანხა 1000(ათასი) ლარის ოდენობით.
ბ) ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ **რობერტ მესხიას** (პ.ნ 51001024486) თანხა 600(ექვსასი) ლარის ოდენობით.
გ) ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ **კოსტანტინე ბელქანიას** (პ.ნ 51001003954) თანხა 600(ექვსასი) ლარის ოდენობით.
დ) ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ **ვალერიანე ზარქუას** (პ.ნ 51001016235) თანხა 600(ექვსასი) ლარის ოდენობით.

2. ამ განკარგულების თაობაზე ეცნობოს მუნიციპალიტეტის გამგებელს.

3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე;

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ.ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქუჩა N12).

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია